განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა

რეაბილიტაციაში მრჩეველი

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რეაბილიტაციაში მრჩეველი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 21.10.2011, №132 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო მურვანიძე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაციაში მრჩეველი“ - ს ს ი პ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (შემდგომში-„უნივერსიტეტი“) ხორციელდება 2010 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს, აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 1 ივლისამდე.
სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით და უცხოელი კოლეგების (ერაზმუსის უნივერსიტეტი) დახმარებით. ასევე, პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ თსსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები. 2011 წლიდან პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები: სტრუქტურაში სამაგისტრო ნაშრომისათვის 26 კრედიტის ნაცვლად დადგენილი იქნა 30 კრედიტი; გაიზარდა პრაქტიკისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა და შეადგინა 10 კრედიტი. ცვლილება შევიდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში, რომელიც ასახული იქნა თსსუ დებულებაში მაგისტრატურის შესახებ. განვითარებული და დანერგილი იქნა სასწავლო კურსების სწავლების დროს მტკიცებითი მედიცინისა და შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია. ყველა სასწავლო კურსის სტრუქტურაში შევიდა ცვლილება, ლექცია-სემინარის ფორმატს დაემატა მოდელირებული სიტუაციის ანალიზი და პრეზენტაცია, ასევე როლური თამაშები. შეიცვალა სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტების რაოდენობა და ქულათა სტრუქტურა. გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსებისა და მათთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. დაინერგა სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და შეფასების სისტემა.
რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში პროგრამის შეფასების მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით 2018 წლის 10 ოქტომბერი (ოქმი N1) დამტკიცებული იქნა საგანმანთლებლო პროგრამის „რეაბილიტაციაში მრჩეველის“ თვითშეფასების ჯგუფი. პროგრამის აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე თვითშეფასების ჯგუფში შეყვანილი იქნა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პოტენციური დამსაქმებელი, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი. სამუშაო ჯგუფმა განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03/07/2020 MES 7 20 0000560784 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 23 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ელისო მურვანიძე (წევრი); ელენე ხურციძე (წევრი) განახორციელა ვიზიტი თბილისში სსიპ - თბილისის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „რეაბილიტაციაში მრჩეველის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს, გაიმართა შეხვედრები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, მოხდა სამაგისტრო ნაშრომების განხილვა, ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები, სამაგისტრო პროგრამის დანერგვის პოლიტიკა ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

2.2. რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი დისციპლინების გაძლიერება, განსაკუთრებით ონკორეაბილიტაციის, ინსულტის შემდგომი და პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კურსების სახით.

2.2. ვინაიდან ამ ეტაპზე სამედიცინო დაწესებულებებში არ განიხილება პროგრამის კურსდამთავრებულისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პოზიცია/შტატი, ბუნდოვანი ხდება ,,შრომის ბაზრის კვლევის შედეგები“, სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

2.3. რეკომენდირებულია ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, რეაბილიტაციის შემსწავლელი კურსების შინაარსი ითვალისწინებდეს სხვადასხვა ნოზოლოგიებისა და რეაბილიტაციაში ასაკობრივი თავისებურებების შეფასების ძირითადი მეთოდებისა და პრინციპების შესწავლას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობით, ეთნიკურ და კულტურულ პოპულაციაში ინვალიდობის გავლენისა და შშმ დასაქმებულთა სამუშაო პირობების კონტროლის აქცენტირებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასში ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, როგორც მაღალი ტემპით განვითარებად დარგში, ახლად წარმოქმნილი პროფესიული საჭიროებებისა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა, რასაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის დამატებითი კვლევა და მიღებული ახალი მონაცემების ანალიზი.
2.1. სასურველია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.
2.3. პრაქტიკის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკურ გარემოში პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რაც რეალურად დაადასტურა ინტერვიუებმა, პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი.
2.4. საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მაგისტრებისათვის გამოცდილების მიღების მაქსიმალური ხელშეწყობა.
2.5. დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა.
2.6. სასურველია სტუდენტის შუალედური შეფასების დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა სწავლის შედეგებისა და ხარისხის მისაღწევად.
3.1.სასურველი იქნებოდა მაგისტრებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებელთა მოთხოვნების გასაცნობად, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მომზადებას კონკურენტუნარიანი გარემოსათვის.
4.1.სასურველია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში გამოცდილების მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამატებით მოწვევა, აღნიშნული ხელს შეუწყობს მაგისტრებისათვის ხელმძღვანელების ფართო არჩევანის შესაძლებლობას.
5.3. სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2011 წლიდან საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები: პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა გაიზარდა 10 კრედიტამდე, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა განისაზღვრა 30 კრედიტით ნაცვლად არსებული 26 კრედიტისა, თსსუ-ს დებულებაში მაგისტრატურის შესახებ შესული ცვლილება შეეხო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, მათ შორის შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/CBL, მოდელირებული სიტუაციის ანალიზი, პრეზენტაცია და ასევე როლური თამაშები. სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები გახდა შედარებით მრავალფეროვანი, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსებისა და მათთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს. თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით. პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და გულისხმობს ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს: - რეაბილიტაციის პროცესის მართვას; - რეაბილიტაციის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებასა და რესურსების ეფექტურ გამოყენებას; - უნარშეზღუდულობის სამედიცინო, ფუნქციური და გარემო ასპექტების შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა მიერ განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, პროგრამის წარმატებით დაძლევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას და მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე კომპეტენციის ფარგლებში, როგორიცაა: რეაბილიტაციის პროცესის მართვა, რეაბილიტაციის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა, უნარშეზღუდულობის სამედიცინო, ფუნქციური და გარემო ასპექტების შეფასება, მზაობას სადოქტორო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს აკადემიურ პროცესში მონაწილე ყველა მხარის მაგისტრანტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერესებს, პროგრამის სწავლის

შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს დარგობრივი საერთაშორისო ასოციაციების მიერ განსაზღვრულ დარგობრივ კომპეტენციებთან (www.asorc.co.au). სამაგისტრო პროგრამის მიზანი, რეაბილიტაციაში მრჩეველმა წვლილი შეიტანოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, როგორც მაღალი ტემპით განვითარებადი, მეტად მოთხოვნადი დარგის და საზოგადოების განვითარებაში, პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროცესების მართვით, მიღწევადია. პროგრამა განსაზღვრავს მოსამზადებელი კურსდამთავრებულის ცოდნასა და უნარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ www.tsmu.edu ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასში ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, როგორც მაღალი ტემპით განვითარებად დარგში, ახლად წარმოქმნილი პროფესიული საჭიროებებისა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა, რასაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის დამატებითი კვლევა და მიღებული ახალი მონაცემების ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს კვალიფიკაციის შესაბამისი დონის მოთხოვნებს, აკადემიურ პროცესში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობას, ასევე შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს და დარგის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას თსსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესის მიხედვით. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შეესაბამება კვალიფიკაციის მეშვიდე დონეს.

- *ცოდნა და გაცნობიერება:*

კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მართვის ყველა რგოლის საორგანიზაციო საქმიანობის შესახებ, მულტიდისციპლინური მიდგომის კრიტიკული გააზრება, რომლის საშუალებითაც აცნობიერებს უახლეს მიღწევებს დარგში და ხელს უწყობს იონოვაციების დანერგვით ახალი იდეების განვითარებას. აცნობიერებს ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში მულტიდისციპლინური კვლევის არსს და მნიშვნელობას, კვლევისა და თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას. შეუძლია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტრატეგიული მიმართულებებისა და შესაძლებლობების დანახვა/გამოყენება; საჭიროებების შეფასება/დანახვა, ადვოკაცია ინდივიდის/თემის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და მათი კეთილდღეობისთვის; იცის ქცევის ფსიქოსოციალური საფუძვლები, რეაბილიტაციის თეორია და ფილოსოფია; უნარშეზღუდულობის საკანონმდებლო და პოლიტიკური ასპექტები.

- *უნარი:*

შეუძლია საზოგადოების კონსულტირება და რჩევების მიცემა, პროფესიული შეფასება, პროფესიული კონსულტაცია, პროფესიული რეაბილიტაცია და დასაქმების ხელშეწყობა; პაციენტთა თვითმომსახურების წესის დანერგვა და ცხოვრების დაგეგმვა; დაავადებათა პრევენცია, მენეჯმენტი და შეზღუდული შესაძლებლობების მართვა; შეუძლია უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური, პროფესიული საზოგადოებისთვის ეთიკის სტანდარტების დაცვით, სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების უნარი.

- *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:*

კომპლექსური, არაპროგნოზირებადი და მულტიდისციპლინური სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;

პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; დამოუკიდებლად შეუძლია გააანალიზოს ახალი და განყენებული მონაცემები, დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია და მოახდინოს მისი ანალიზი რისკ ფაქტორებთან მიმართებაში; რაც კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენს. შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარება და ადეკვატური გზის შერჩევა. შესწევს შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი; მიღებული ცოდნის და უახლესი მტკიცებულებების სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. ვიზიტის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის პერიოდულად ფასდება სწავლის შედეგები, რისთვისაც გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა მექანიზმები, მაგალითად: სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი; პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით; *ამასთანავე,* 2019 წლის 26 თებერვლის N24/4 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, განთესვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი; საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების ანალიზი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი წესის მიხედვით პირველი შეფასება უნდა განხორციელდეს 2022 წლამდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი- დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ ○ www.tsmu.edu
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე ,,რეაბილიტაციში მრჩეველი" სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიმალური კონპენტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში) და საუნივერსიტეტო გამოცდების (სპეციალობაში და უცხო ენაში/ტესტური) დადებითი შედეგების საფუძველზე, ხოლო უცხოეთის მოქალაქეები - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით, *თუმცა პროგრამაში არ არის განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.*

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები (საჭირო ლიტერატურის მითითებით), სპეციალობასა და უცხო ენაში, ასევე დაკონკრეტებულია გამოცდის ფორმები, ვადები და მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები. გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ბაზაზე წინასწარ მომზადებული ტესტების გამოყენებით. შედეგად, გამოცდა სპეციალობაში უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- დებულება მაგისტრატურის შესახებ, ცვლილებები დებულებაში
- თსსუ-ს ვებ გვერდი www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია თსსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. სასწავლო კურსები დაგეგმილია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და მისი ქვემდებარე ნორმატივების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრულია 120 ECTS კრედიტის მოცულობით (ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს). პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი (4 სემესტრი), სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები, ასახულია კრედიტების სისტემაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-ინიცირება, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განსაზღვრა მოხდა შრომითი ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, თუმცა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, მიუხედავად ჯანდაცვის სექტორისათვის რეაბილიტაციის მრჩეველის მნიშვნელობისა, ამ ეტაპზე სამედიცინო დაწესებულებაში არ განიხილება აღწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პოზიცია/შტატი, აღნიშნული ბუნდოვანს ხდის ,,შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს“, შესაბამისად, სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების

დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე ინიცირების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ერთად, ყოველივე აღნიშნული დაგვიდასტურა პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის სამსახურის უფროსმა და დამსაქმებელმა როგორც გასაუბრების დროს, ასევე დოკუმენტაციით (შეხვედრების ოქმები და ა.შ).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დარგობრივ სასწავლო კურსებს (რეაბილიტაციაში მრჩეველის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები -6კრ, უნარშეზღუდულობის სამედიცინო და ფსიქოლოგიური ასპექტები -5კრ, პროფესიული და ჯგუფური რეაბილიტაცია - 4კრ, ნებისყოფის განვითარება, შეფასება, ფსიქოჰიგიენა - 6კრ, ფსიქორეაბილიტაცია -5კრ;), პრაქტიკას 10 კრედიტის ფარგლებში, საკურსო ნაშრომს -10კრ. და სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტის მოცულობით/ სულ 76კრ/.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, ითვალისწინებს სასწავლო კურსების მემკვიდრეობითი პრინციპით სწავლებას. სასწავლო კურსების შინაარსი და მათში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უკანასკნელი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერით დადგენილ დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების (დარგობრივი სულ - 76კრედიტი) შინაარსი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს (დეტალური სფეროს ხვედრითი წილი, შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით 50%-ზე მეტია), საგანმანათლებლო პროგრამის ღრმა ანალიზი და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მიმართულების სასწავლო კურსების შედარება, გვაფიქრებინებს, რომ პროგრამის სტრუქტურაში რეკომენდირებულია მოხდეს დარგობრივი დისციპლინების გაძლიერება, განსაკუთრებით ონკორეაბილიტაციის, ინსულტის შემდგომი და პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კურსების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები
- თსსუ-ს ვერ გვერდი
- თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი დისციპლინების გაძლიერება, განსაკუთრებით ონკორეაბილიტაციის, ინსულტის შემდგომი და პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კურსების სახით.
- ვინაიდან ამ ეტაპზე სამედიცინო დაწესებულებებში არ განიხილება პროგრამის კურსდამთავრებულისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პოზიცია/შტატი, ბუნდოვანი ხდება ,,შრომის ბაზრის კვლევის შედეგები", სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც ავითარებენ პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტი და კრიტერიუმი ცნობილია სტუდენტებისათვის, პროფესორი ყოველთვის აცნობს მაგისტრებს სილაბუსის შინაარსს, შეფასების წესს და აწვდის მათ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებით.

ამასთანავე, ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, აუცილებელია რეაბილიტაციის შემსწავლელი კურსების შინაარსი ითვალისწინებდეს სხვადასხვა ნოზოლოგიებისა და რეაბილიტაციაში ასაკობრივი თავისებურებების შეფასების ძირითადი მეთოდებისა და პრინციპების შესწავლას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობით, ეთნიკურ და კულტურულ პოპულაციაში ინვალიდობის გავლენისა და შშმ დასაქმებულთა სამუშაო პირობების კონტროლის აქცენტირებით.

პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, ხორციელდება სიტუაციური განხილვით, მაშნ როდესაც, მაგისტრებთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრებმა და ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ რეალურად პრაქტიკის კურსი ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში, რეალურ კლინიკურ გარემოში, სადაც მაგისტრს აქვს პირდაპირი შეხება სხვადასხვა ქეისებთან. პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, აუცილებელია გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მოიცავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე ტენდენციებს, სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში ასახული ლიტერატურა მოიპოვება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია მაგისტრებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, რეაბილიტაციის შემსწავლელი კურსების შინაარსი ითვალისწინებდეს სხვადასხვა ნოზოლოგიებისა და რეაბილიტაციაში ასაკობრივი თავისებურებების შეფასების ძირითადი მეთოდებისა და პრინციპების შესწავლას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობით, ეთნიკურ და კულტურულ პოპულაციაში ინვალიდობის გავლენისა და შშმ დასაქმებულთა სამუშაო პირობების კონტროლის აქცენტირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პრაქტიკის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკურ გარემოში პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რაც რეალურად დაადასტურა ინტერვიუებმა, პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად და ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებთან (ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სს „ევექსის ჰოსპიტლები"; შპს აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, საქართველოს ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის ასოციაცია, ააიპ საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი, შპს თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, ააიპ „სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი-ურანტი", შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა"). საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრები რიგ შემთხვევებში ინტერესების სფეროების შესაბამისად ჩართულნი არიან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ კვლევით სამუშაოებში. ყოველწლიურად სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა-სემინარი ბაკურიანში, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად წარადგინონ სამეცნიერო კვლევები, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო დისკუსიებში, გაეცნონ პრაქტიკული ჯანდაცვის სიახლეებს. თსსუ-ს ადმინისტრაციის ხელშეწყობით სტუდენტები მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთ სასწავლო-სამეცნიერო ტურებში, სადაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტრატეგიას, დაათვალიერონ სამედიცინო დაწესებულებები, გაუზიარონ უცხოელ კოლეგებს სამეცნიერო და პრაქტიკული მოსაზრებები. უცხოეთში მიღებული გამოცდილების მნიშვნელობა დაადასტურეს პროგრამის კურსდამთავრებულებმა და დააფიქსირეს საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მსგავსი გამოცდილების მიღების ხელშეწყობის აუცილებლობა. სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების თვალსაზრისით გამოიყენება თსსუ-ის აქტიური წევრობა და თანამშრომლობა დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან. პროგრამა უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის კვლევითი შესაძლებლობების გამოვლენას სწავლების ორივე წელს, სტუდენტები დამოუკიდებლად ირჩევენ პრიორიტეტულ პრობლემას და ასრულებენ საკურსო სამუშაოს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სტრუქტურით. ეუფლებიან ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია, კვლევის დიზაინი, კვლევის შედეგების წერილობითი და საჯარო - ზეპირი წარდგენა, კომუნიკაციისა და დისკუსიის წარმართვა. კვლევითი კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სილაბუსებში აძლევს საშუალებას სტუდენტს დამოუკიდებლად შეარჩიოს, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს ვებ არქივი და ლინკები
- ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მაგისტრებისათვის გამოცდილების მიღების მაქსიმალური ხელშეწყობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა სხვადასხვა კომპონენტში იყენებს სამედიცინო განათლებაში აპრობირებულ სწავლის/სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსის მიზნებს, ორიენტირებულია სწავლის შედეგებსა და მაგისტრების ინტერესებსა და მოთხოვნებზე. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებს მაგისტრთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და ამ მიზნით ლექციების, სემინარების, კოლოქვიუმების, პრეზენტაციების, სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, პროექტის დამუშავებისა და წარმოდგენის, აგრეთვე, სამუშაო პრაქტიკის გამოყენებას. პროგრამაში გამოყენებული ინტერაქტიული სწავლების მეთოდები ეყრდნობა პედაგოგის და სტუდენტის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, დისკუსიები, მოდელირებული შემთხვევების გარჩევა, საქმიანი თამაში; როლური თამაში, გუნდური მუშაობა, თეზისების მომზადება/პრეზენტაციები, ინდივიდუალური მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
